იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

№ 13/2140

"6" მარტი 2019

რწმუნებულება

სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) ოპერაციული დირექტორის მოადგილე **დავით დავითაშვილი** (პ/ნ 01001017835, შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას **გიორგი ბუქურს** (პ/ნ 01025003639, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს სს "საქართველოს ბანკის" ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს განცხადებები, პროექტები და მიიღოს დოკუმენტაცია შედეგების შესახებ, მოახდინოს ანგარიშსწორება და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია. ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ მოქმედებებთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.
2. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება ძალაშია 2020 წლის 10 მარტამდე

სს საქართველოს ბანკის ოპერაციული დირექტორის მოადგილე

დავით დავითაშვილი ----------

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

04371902496118

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180203663

რეგისტრაციის თარიღი

27.02.2018 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა **ლევან ყულიჯანიშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს „საქართველოს ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს „საქართველოს ბანკის“ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის კახაბერ კიკნაველიძის მიერ 21.10.2016წ., დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 161218184 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ლევან ყულიჯანიშვილმა,** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **დავით დავითაშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ლევან ყულიჯანიშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლევან ყულიჯანიშვილმა** (დაბადებული 07.11.1974 წ. ადიგენში, პირადი ნომერი: 03001000435, რეგისტრირებული დ. აბასთუმანი ლ.ასათიანის ქ. N47) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ლევან ყულიჯანიშვილმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

მარწმუნებელი

ლევან ყულიჯანიშვილი _____

რწმუნებულება

მე, სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე **ლევან ყულიჯანიშვილი** (პირადი ნომერი: 03001000435) (შემდგომში - მარწმუნებელი), ვანიჭებ უფლებამოსილებას **დავით დავითაშვილს** (პირადი ნომერი: 01001017835) (შემდგომში - რწმუნებული), რათა მან დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები. ამ მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს) ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები) / შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);
2. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში.
3. ხელი მოაწეროს ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/ კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს.
4. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის

დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

ლევან ყულიჯანიშვილი _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____